



პ ი ო ნ ე რ ი

საბავშვო ალკა ცენტრალური კომიტეტის
შტაბის მდივანი საბავშვო შუროლი

№ 1 იანვარი 1950

გამომცემლობა

„კომუნისტი“

წელიწადი XXIV

П И О Н Е Р И Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

თხილამურებით

გამოგვიტაცეს სრიალით
სერიდან თხილამურებმა,
მოვქრით, და ღიმით გვაქეზებს
თეთრად მორთული ბუნება.

— ვინ ვის აჯობებთ, ვნახოთო, —
თითქოს მოგვესმის ხმა მისი.
ურთებს გვასხამს თოვლის ქათქათით
შემატებული ხალისი.

დაფიქრებულან სერებზე
ნაძეები ხმაგაკმენდილი,
სურთ აგვედევნონ ყმაწვილებს. —
გვაცქარენ გულდაწყვეტილი.

შარაგზა ჩვენ არ გვცირდება
და არც ბილიკებს მოვყვებით, —
მოვქრით ქარივით, და ქროლვამ
სულ დაგვიწითლა ლოყები.

ქარივით მოვქრით, გვახარებს
სივრცე ქათქათა, ნათელი.
ჩვენს უკან თეთრი მტვერივით
დგას თოვლის კორიანტელი.

გიორგი კახანიძე



140
1950/2



ნახ. პ. ვასილევისა

ლენინი

დიდი სინათლით და აზრით სავსე
დედამიწაზე მზედ მოვლენილი,
ჩვენი დიდი ცხოვრების გზაზე,
კვლავ ჩვენთან არის დიდი ლენინი.

კვლავ თავზე ადგას მისი ნათელი
ჩვენი სამშობლოს მთებს და ტრამალებს,
და კომუნისმის წმინდა სახელით
კვლავ სიმართლისთვის ბრძოლას გვავალებს.

კვლავ გზას გვინათებს მისი აზრები
და იგი მარად ჩვენთან ხშირობს...
ესმის რეკავენ კრემლის ზარები:
„გვიყვარხარ ბრძენო ადამიანო“.

და ხედავს: მისებრ სიმართლით სავსე
ფრიალება დროშა ცად ატანილი, —
და ამ დიადი ცხოვრების გზაზე
წინ მიუძღვება ხალხებს სტალინი.

გვლავ ვერხნიძე

ლენინი ცოცხლობს ჩვენს გულში

ოცდაექვსი წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, შეწყდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მაჯისცემა. მაგრამ ლენინი არ მომკვდარა. ცოცხლობს და იმარჯვებს ლენინის მოძღვრება. ლენინი ცოცხლობს ხალხის გულში, მსოფლიოს ყოველს. პატიოსანი აღამაღანის გულში. ლენინი ცოცხლობს საბჭოთა ხალხის, ჩვენი ქვეყნის დიად საქმეებში.

ლენინი უყვავდვია იმიტომ, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა კეთილდღეობას შესწირა, კაცობრიობის უკეთეს მერმისს მოახზარა.

ლენინი უყვავდვია იმიტომ, რომ მან კაცობრიობა შეიარაღა სამყაროს გარდამქმნელი იარაღით, მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის იარაღით, გამარჯვების იარაღით. ეს იარაღია ლენინის მოძღვრება — ლენინიზმი.

კომუნისმისათვის ბრძოლაში ამ ყოველისმძლე მოძღვრებით იმარჯვებს ჩვენი ხალხი, რომელსაც წინ უძღვის ბრძენი სტალინი — დიდი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი.

ლენინის დროშა ხელთ უბყრია დიდ სტალინს. ლენინ-სტალინის ამ ძლევამოსილი დროშით მიდის ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

ყველაფერი, რითაც მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდა თაობა ხარობს და ზეიმობს, რითაც ჩვენ ბედნიერნი და კმაყოფილნი ვართ, — ლენინის დიადი ანდერძის შესრულების შედეგია.

ჩვენი ნათელი დღეები, ჩვენი საამური, ლაღი ცხოვრება, ჩვენი საყვარელი, განახლებული ქალაქები და მდიდარი, შეძლებული საყოლმეურნეო სოფლები, საბავშვო ბაგები და ბაღები, სკოლები და ინსტიტუტები, კლუბები და თეატრები, გარანტირებული სწავლისა და შრომის, დასვენებისა და გართობის უფლება, — მთელი ჩვენი ბედნიერი ცხოვრება წარმოადგენს ლენინის ანდერძის განხორციელებას.

ლენინის დიადი ანდერძის შესრულებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს. მშობლიურმა სტალინმა დასლო ფიცი ამ ოცდაექვსი წლის წინათ ლენინის ცხედრის წინაშე, რომ ბოლშევიკური პარტია შეასრულებდა ყველა იმ ანდერძს, რაც ლენინმა დასტოვა. და ეს ფიცი შესრულებულია. ჩვენი ხალხი სტალინის წინამძღოლობით, ლენინის გზით მიდის კომუნისმისაკენ.

პიონერო! ის ორგანიზაცია, რომელსაც შენ ეკუთვნის — ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია—ატარებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს. გახსოვდეს, რომ შენ ნორჩი ლენინელი ხარ და საქმით გაამართლე ეს საპატიო სახელწოდება. ისწავლე ისე, როგორც ლენინი სწავლობდა.

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილინი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი“. (სტალინი).

ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!



საახალწლო ნაძვის ხესთან

დღეს ქალაქად, დაბა-სოფლად
მიწა ბრწყინავს თოვლითა,
დღეს ახალწლის მახარობლად
თოვლის პაპაც მოვიდა.

კვლავ ესტუმრა კეთილ ბავშვებს
გასართობად, საღებნად.
ნაძვის ხესთან ათამაშებს,
სწავლით ვინც გვასახელა.

რკალი შეჰკრა, და გუნდ-გუნდად
ჩაამწყრივა ტოლები.

სიმღერა და ცეკვა უნდა
ნორჩთა ხმის აყოლებით.

აწყრილდნენ ბალახები,
დაუარეს ლეკური;
ლიმს აფრქვევდნენ განაზებით,
სად წრე იყო შეკრული.

შეტრფოდნენ ნათელ ფერებს,
ნაძვს რომ ფიფქი ბურავდა.

ერთად შედგნენ, და იმღერეს
დიდ ბელადის სურათთან:

— გაუმარჯოს ძია სტალინს!—
სუეებს აქ ჩიორებმა.

ხმას გულიდან ამოტანილს
ქერიც იმეორებდა.


ვინც შეხარის სწავლას, ჯაფას
შვება არ გაუჭრება.

მიტომ უყვარს თოვლის პაპას
ბავშვთა დასახუქრება.

პარკოვ ჯიკელი

ნახ. ლ. თაბუკაშვილისა





ნიკო აბაშიძე

მოთხრობა

ნახ. გ. ჩიჩინაშვილისა

შემოდგომა დადგა. იაწონს ლურჯ მთებს
 ხშირად ნისლი ესტუმრება ხოლმე და უზარ-
 მაზარ ტანს თითქმის უფარავს. მზე ვერ
 ითმენს ამას, რაც არ უნდა სქელი ღრუბლე-
 ბი ეფაროს, მაინც გამოჩნდება, დაუზოგვე-
 ლად გადმოჰყრის სხივებს და ნისლს გულა-
 ნაბადას ააქრფეინებს, მთას თვითონ დაადგე-
 ბა თავზე. ჩამავალ მზეში იაწონს უფრო ლუ-
 რჯად დაედაყვებს, გალამაზებული ღვას და
 დაცინვით დაჰყურებს ხევეში დაცურებულ
 ნისლს. ამ მთის ძირში სოფელი ასკილაურია.
 უზარმაზარი ვაშლისა და მსხლის ხეებში
 ძლივს მოჩანს ლამაზი სახლები. მაგ-
 რამ ყველაზე დიდი და ლამაზი ბაღი მა-
 ინც ლექსო ცაატაშვილისაა. შარშან გაზაფ-
 ხულზე თუ ამ ბაღის გვერდით ავილიდით და
 ალვის ხეების ღობიდან შეიხედავდით, უსა-
 თოდო დაინახავდით თერთმეტ-თორმეტი
 წლის ბიჭს, შავი დიდი თვალებით და ქერა
 თმებით. გვერდით ყოველთვის ჩასუქებული
 კვიცი ედგა.

— ჩემო თერთმულზე, ჩემო კუდავ! —
 ისმოდა ლექსოს ალირსი, მერე ხელს კისერ-
 ზე შემოხვევდა, რომ ლურჯას არ მოსწყე-
 ნოდა და თავი კარტოფილისა და ღობიოსა-
 კენ არ წაეღო. თვითონ კი ისე ხმამაღლა და-
 იწყებდა გაკეთილებების სწავლას, რომ მე-
 ზობელი ბებერი მონადირე ბაღიდან გამოს-
 ძახებდა.

— ბჭო, მე კი ზებირად ვისწავლე შენი
 გაკეთილები, შენი კი რა მოგახსენოო.
 ამის შემდეგ ლექსო სიმღერას დაიწყებ-
 და. იმითაც რომ გულს მოიჯერებდა, სახლ-
 ში გამოიბოდა. უკან კი კმაყოფილი ფრუ-
 ტუნით იძისი ლურჯა მოკუნტრულშებდა.
 არც ლექსომ და არც ლურჯამ დარდი და
 პირწყენა რა იყო, არც იცოდნენ იქამდის, სა-
 ნამ იმ ზაფხულს ლურჯა კლდეზე არ და-

ცურდა და ორივე თვის არ მოიტეხა. ლექ-
 სომ ცოცხალს მოსწრაფდა.

— ჩემო მერცხლაე! — დაუძახა კვიცი,
 ლურჯამ ჩაცვივებული ლამაზი თვალები
 ძლივს გაახილა და ისე შესაბრალოსად დაი-
 ფშვინა, რომ ბიჭი კიდეც უფრო აატირა.
 ცრემლები რომ დაემაღა, ლექსო ბაღში გა-
 იქცა, მსხლის ხეზე მიყუდებულ კიბეზე
 აცოცდა. იქ დაიწყო ტირილი და ვინ იცის
 რამდენ ხანს იტირებდა, რომ ხის ტოტზე
 ხევსური ბიჭი მამუკა არაბული არ დაენახა.
 ლექსო იცნობდა მას — დიდხანს ხშირად
 სტუმრად მოდიოდა მეზობელ ხევსურთა
 სოფლიდან.

— ლექსო, ასე დიდიც ატირდების, —
 დაუძახა ბიჭმა პოტიდან.

ლექსომ ცრემლები მოიწმინდა.

— მენ რომ ჩემსავით გული გეწოდეს,
 ვინ იცის ხაფანგში მომწყვდიული მანვივი-
 თა ღრიალებდე. — უპასუხა და თავი აარი-
 და. მამუკა ხის ტოტიდან, რომელიც ბაღში
 გადმოდიოდა, ჩამოცოცდა და ლექსოსკენ
 გამოემურა. დაუბატიყებელ სტუმარს ბიჭმ-
 ერთი კიდეც შეუბღვირა, მაგრამ მამუკა ისე
 მშვიდად იდგა — პრელი წინდებით და ლა-
 მაზად ამოსხმულ თასშიანი ქალამნებით, მო-
 ღიმპარი სახით და დიდი, ცისფერი თვალე-
 ბით, რომ ლექსომ უხმოდ გაიწია და კიბის
 საფეხურზე აღვილი დაუთმო. ერთხანს ორი-
 ვენი ჩუმად იყვნენ. მერე ისევ ლექსომ
 ჰკითხა:

- ცხენები გყავთ?
- ჩვენ ყველაფერი ბევრი გყავთ: ცხენ,
 ძროხა, ცხვარი, მხოლოდ მომკვლელი მარტო
 მე დავარჩი.
- ძან ვეკაცო კი დარჩენილხარ, — შე-
 აწყვიტინა ლექსომ.

— რად არ, მე ცხენ მყავ. ჩემ ცხენ მეტ-ცხალივით მალისა. მე თვით უკანავე ფაფარს და ზურავს. ზარის ღრის დღობიაც ვიყავით, ვერცალის ბალთებიანი ქამარი მივიღე, — უამბობდა მამუკა და თანდათან ლექსის პატრივისცემას და რიღს იმსახურებდა.

ლექსობაც უამბო ლურჯას თავადასავეალი, და ისე მოეწონათ ბიჭებს ერთმანეთი, რომ დაბინდებისას სახლებში ძლივს შეიყვანეს.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ლექსო და მამუკა განუყრელი მეგობრები გახდნენ. შემოდგომაზე მეხუთე კლასში ერთად დაიწყეს მეცადინეობა ამიტომ ხშირად სკოლიდან ერთად ბრუნდებოდნენ.

— მამუკა ეხლა რომ ნატვრა ასრულდებოდა, რას ისატრებდი? — შეეკითხა ერთხელ ლექსო.

— მე ვინატრებდი, რომ მე და შენ ძმებ ვიყო, ერთად ვცხოვრობდეთ, რომ ყოველ მწუხრის ქაშს ურთერთს ლექსებს და ზღაპრებს უამბობდეთ.

— მეც კი ვინატრებდი მაგას, — დაუმატა ლექსომ, თან შეერცხვა, რომ ეს თვითონ პირველად ვერ მოიფიქრა და განაგრძო: — მე კიდევ ვინატრებდი, რომ შენ მისკლისას ჩემი ლურჯა დამხვედროდა.

— გეტყობა ძან სწუხ, ლექსო.

— რა დაემალო, მამუკა! — და ლექსომ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, — აქნებ წესი არ იყო, რომ პიონერი ცხენისათვის ამდენს წაუწუნებდეს, მაგრამ მე რომ ჩემი ლურჯა მომავლობდა, თვალები ცრემლით თავისთავად მევეცხა.

მამუკამ ცრემლები შეამჩნია, თავი დაღუნდა და ასე უხმოდ მიდიოდნენ გზაჯვარედინამდე. აქ მამუკას თავისი სოფლისაკენ უნდა გადაეხვიდა. ამხანაგთან დამშვიდობებისას უცებ სახე შეუწითლდა, თავი ასწია, დიდი ცისფერი თვალები ლექსოს მიაკრო.

— ლექსო, ნატვრა არა სრულდების?

— არა. — მოკლედ მოუპრა ლექსომ.

— აწ რომ მიხვიდე და სხვა კვიცი დაგხედეს, მაგაზე რას იტყვი?

— მაგაზე ამბობენ ხოლმე — ინატრა და აღსრულდა.

მამუკა კი თანდათან ოცლავდა, ცმუკავდა. რალაც ახალი გადსწყვიტა, ჩქარობდა შინისაკენ გაქცევას. აი გაეცალა ლექსოს, მაგრამ მისმა პატარა გულმა საიდუმლო ვერ დაიტია, რომ მეგობრისათვისაც არ გაეზიარებინა. ამიტომ ისევ შემობრუნდა:

— ლექსო, ნუღა სწუხ, ნატვრას მე აგისრულემ, კვიცს მე ჩამოგვარი, ლურჯა დაარქვი, — დაუძახა გაწითლებულმა და შინისაკენ მოკურცხლა. მიპროდა მამუკა, თან

ოცნებობდა: ბებია დასთანხმდება საჩუქარზე, კვიცს ფაფარს ლამაზად მოუკანხმავ და ისე ჩამოუყვებს ლექსოს. სკოლაში გაიგებენ იტყვიან: — აი ძმადნაფიცნიც ამას პკვიენო.

ოცნებებში გართული მამუკა სახლში შევიდა. როცა ბებუის მიუახლოვდა, მაშინ მიხედა რა ძნელი და დიდი სათხოვარი მიდიოდა. ამიტომ ჯერ დიდხანს ელაპარაკა ლექსოს მწუხარებაზე, დაძინების ხანს კი გვერდით მიეკრა.

— ბებია, ჩემო ბებერა, მე ლექსოს პატარა ცხენის ჩუქებას დაგვირდი.

— შენ ცხენ დაპირდი? — შეეკითხა სამძიმარ.

— არა, არა, შენი... — ენა დაება მამუკას.

— რა ხელ დაპირდი ჩემ და არა შენ. — სახე შეიკრა ბებია.

— იმიტომ, რომ მე შენი დიდი ვაჟაკი ვარ, ლექსო კი — ჩემი ძმადნაფიცი.

— შენ ვაჟაკობას იმად იწყებ, რომ ბებუის კუთვებს ასაჩუქრებ, საკუთარი კი გუნანებ.

მამუკას სუნთქეაც კი არ ისმოდა. ბებია კი ისევ განაგრძობდა:

— მეგობარს დაპირდებიან იმას, რაზედაც ხელი მიუწვდებთ, რაც საკუთარ ნამბრად და სათავარი და არა სხვის... დაპირება სინდისის ლეილ ძმა არს, უპიროკაცს მთაში არ ემობიან, ამიტომ ენა არ უნდა უსწრებდეს საქმეს, — ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბებია სამძიმარ.

გაპშრალი, შეწუხებული მამუკა პირით ბალიშზე დამხობილი უსმენდა. აი ბებია მხერხივად დაიწყო, მამუკა კი ისევ ტრიალებს შამფურავით. გარეთ წვიმა შხაპუნებს. ხვალ ფეხით ვერ წავა სკოლაში. ბებია ფულს მისცემს, რომ მოფერმა, რომელსაც რძე დააქვს გომბორში, მანქანით წაიყვანოს. გაუხიდა მამუკა. უძილობისაგან ყურებს



მხელი გააქვთ, თავი უბრუნეს, მაგრამ აზრს
მაინც აწყობს: — რა იქნება, რომ ის ფული
მოფერს არ მისცეს, შემდეგვეც ფხვნით ია-
როს, ფული შეაგროვოს და გაზაფხულზე
ლექსოს კვიცი უყიდოს?! ამ საჩუქარში ხომ
მაძუტკას ნაშრომი და ნაოფლოარი გაერყევა?
მოეწონა ეს აზრი. ერთხელ კიდევ გაიმეორა
და, კმაყოფილს, თავი დასაძინებლად ბა-
ლიმზე გადატვორდა.

ნოემბრის დღე იყო. თოვდა. ნალექით და-
ბერილი ღრუბლები ძირს ისე დაწულიყ-
ენენ, რომ ისედაც დაბურულ ხეებს უფრო აბ-
ხელებდნენ. აი ამ ხევში, სახლისაკენ გულა-
დად მიიბრუნებდა მამუკა. ამხანაგები თანდა-
თან ეცლებოდნენ, იმის სახლი კი ჯერ შორს
იყო. მერცხლის ბუდესავით მოსჩანდა ზევით.
მამუკა აღმართს შიოივგა, მაგრამ ზენა ქარმა
ისეთი ღმუღილი დაუბერა, გაშლილი თოვლი
შოაგროვა, ზევით ასწია და მამუკას პირდა-
პირი სახეში შეაყარა. ყმაწვილს ფეხები თოვ-
ლში ჩაეფლო. მართო მკერდი ისე გასწია
წინ, თითქოს ამ პატარა მკერდით ამოედენა
ქარბუქის დაჭერა მოინდომაო.

— ბებია მიკითხავდა მოფერთან, გაიგებ-
და ყველაფერს, — გაიფიქრა მამუკამ და მე-
წყუხებულმა ნაბიჯს უფრო აუჩქარა. ერთ
თვეზე მეტი ასე დადიოდა. მუსლიჯუნებლად
მირბოდა და ისევე ბრუნდებოდა. ფულს კი
დიდი მოთმინებით აგროვებდა. მაგრამ დღე-
ვანდელმა დღემ საქმე გაუჭირა. რამდენჯერ-
მე შიშმაც წასძლია. მიიხედ-მოიხედა და რა-
კი ქარბუქის მეტი ვერაფერი დაინახა —
კი გაიმე დედავო დაიძახა. მაგრამ იმ დროს
ქარმა წითელი ყელსახვევი თვალებთან აუ-
ფრიალა და გააჩუმა. ქარი კი სუნთქვას თან-
დათან უსუსთავდა. ძარღვები ებერებოდა, მა-
გრამ მაინც მიოფხავდა, აღმართში ბებია
სამძიმარ რომ დაინახა, ქარმა კიდევ დაუბე-
რა და ბიჭი ბებიას წინ წააქცია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლის შუ-
კით განათებულ ოთახში ერთმანეთის პირდა-
პირი იდგნენ ბებია და შვილიშვილი. სამძი-
მარს გახეცხებული სახე უფრო მოელეშა და
ცივი, მრისხანე სახით მისჩერებოდა მამუ-
კას მკერდს, რომლდანაც ქმენა და ხიხინი
მოისმოდა.

— მატყუებდი, ვაჟუა?
ბავშვმა თავი დახარა.
— ვიი თუ სადმე აუგად დახარჯედი



ფულს და ბებიას ორივე თვალებს დაუყუ-
ნებდნენ?

ბიჭმა ახლა კი თავი ასწია და დიდი, ცის-
ფერი თვალები ბებიას თვალში გაუყარა. მე-
რე უბიდან გამოკრული, დასველებული ძონ-
ძი გამოიღო და ბებიას გაუწოდა.

— ბებერა! მე ვაგროვებდი ამ ფულს, რომ
ლექსოს ჩემი უპირობა გულში არ გაევლო,
ცხენი მიყიდა... შენთვის კი დამენახებინა,
რომ არც ნაოფლ-ნაშრომი დამენახების.

სამძიმარმა ორივე ზევი ფართოდ გაშა-
ლა და დასველებული, აკანკალებული შვი-
ლიშვილი გულში ჩაიკრა და დიდი, დაკოყრ-
ებული თითები თმაზე გადაუსვა.

— ჩემო პატარა ვაჟაკო! დიდნი ვაჟაკ-
ნიც კი შეიტყვიან და ისწავლიან, როგორ უნ-
და მეგობრისათვის თავის განწირვა. აჰ საწა-
ბელს ორივეს მე აგისრულეთ! — ესმოდა
ბებიას მკლავებში მომწყვდულ მამუკას და
დადილულ სახეზე ბედნიერების ღიმილი და
ძილი ერთად ეპარებოდა.



ეგნატე ნინოშვილი

90 წელი დაბადებიდან

ეგნატე ნინოშვილი!—ამ სახელს მუდამ სიყვარულის გრძნობით წარმოსთქვამს ყოველი მოსწავლე, ყოველი ქართველი, რომელსაც კი მისი უკვდავი მოთხრობები წაუკითხავს. ეგნატე ნინოშვილს ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის არის ილია ქავეკვაძის მხატვრული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების განმგრძობი და ახალი, რევოლუციურიდემოკრატიული მიმართულების ერთი პირველი და ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი.

ეგნატე ნინოშვილის გამოსვლით სამწერლო ასპარეზზე ქართული რეალისტური პროზის ერთგვარად ახალი კარი გაიხსნა. ეგნატემ გაამდიდრა ქართული მწერლობა ცოცხალი მხატვრული სახეებით, ახალი ტიპებით, რომელნიც პირდაპირ ცხოვრებიდან აღებული და თავისი დროის მშფოთვარე გულისცემის

გამომხატველი იყვნენ. ეგნატე ნინოშვილმა, როგორც სამართლიანად აღნიშნა თავის დროზე გიორგი წერეთელმა, ღრმად დაგვიხატა დაჩაგრული ხალხის ცხოვრება და მიგვითითა ამ ჩაგვრის ნამდვილ სოციალურ მიზეზებზე. იგი „ჩაღდა ჩვენს ლიტერატურაში მუშა ხალხის გონების განთიადად“.



ნახატი გ. ჯამბა (ფოტორეპროდუქცია)

ეგნატე თომას-ძე ნინოშვილი (ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის 17 დეკემბერს, სოფელ ჩირაგეთში (გურია), ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ცხოვრება, სასიქაღულო მწერალმა, გაქირავებაში გაატარა; ლუქ-

მაჟურის ძიებაში ხშირად იგი იძულებული ხდებოდა მისი ჯანმრთელობისათვის აუტანელი ფიზიკური შრომისათვის მოეციდა ხელი. მამინაც კი, როცა უკვე გამოჩენილი მწერალი იყო, არ შეეძლო ოდნავ უზრუნველყოფილად ეცხოვრა.

ეგნატე ადრე დაიბოლდა. შვიდი თვისას დედა გარდაეცვალა და მისი აღზრდა მამიდა ნინომ იყისრა. წერა - კითხვა ეგნატემ შინ შეისწავლა. „შვიდი თუ რვა წლისა ვიქნებოდი, — იგონებს ეგნატე თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში, — როცა მამიდამ ერთ დღისა წამიყვანა მდინარეზე, ჩამადგმევინა ფეხი შიგ და დამაწყვინა „ან“ — „ბანის“ კითხვა“. როცა წერა-კითხვა კარგად შეისწავლა, ეგნატე სოფლის მღვდელს მიაბარეს აღსაზრდელად. მაგრამ მღვდელმა მხედრული წერა-კითხვა არ იცოდა, ჩამორჩენილი და უკულტურო „ღეთის მსახური“ პატარა ბავშვს მხოლოდ ლოცვებს აზებობდნენ და ხელზე მოსამსახურედ იყენებდა. მღვდლის ოჯახში ეგნატეს დიდი ჯაფა ჰქონდა: დღედ-ღამ ამუშავებდნენ, ერთი წუთის მოსვენებას არ აძლევდნენ.

ბიძა და მამიდა ძალიან დააფიქრა კეთილი და ნიჭიერი ბავშვის ბედმა. როცა შეიტყვეს, რომ მღვდელი ეგნატეს არაფერს ასწავლავდა, მაშინვე წამოიყვანეს და ფოთში ხეტყის მოვაქრეს მიაბარეს იმის ფიქრით, რომ იქ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას შეიძენდა. პატარა ეგნატესაც გულში იმედი ჩაესახა, გულმოდგინედ და გატაცებით შეუდგა ვაჭრის ოჯახში მუშაობას. მაგრამ იმედი სულ მალე გაუქრა და პირველი გულბრყვილო გატაცება მწარე სევდამ შესცვალა. მზის ყოველ ამოსვლისას პატარა ეგნატეს ტანჯვისა და წამების დილა უთენდებოდა. იგი გამუდმებით სამზარეულოში იყო, ქაღს აცხობდა და ყოველგვარ ფიზიკურ მუშაობას ასრულებდა.


პატარა ეგნატე პირველ ხანებში ვერ ბედავდა ყველაფერი გაეგებინებინა ბიძისათვის, იმის შიშით, იქნებ უარეს მდგომარეობაში ჩავყარდეთ. ბოლოს, როცა გაჭირვება ვერ აი-

ტანა, იძულებული გახდა ყველაფერი დაწვრილებით ეცნობებინა ბიძისათვის. ბიძა შეაწუხა ძმისწულის მდგომარეობამ, მაშინვე წავიდა ფოთში და ეგნატე შინ წამოიყვანა.

ეგნატე ნინოშვილს არც სოფელში ჰქონია ბედნიერი ცხოვრება. ღარიბი ოჯახიდან გამოსულს, ღარიბი ნათესაეები ეხეია გარის და ვერავისაგან იგი საჭირო მატერიალურ დახმარებას ვერ იღებდა. ხელმოკლესა და არსებითად თავის ანაბრად დარჩენილ ბავშვს თვითონ, საკუთარი ძალით უნდა გაეყვლია გზა ცხოვრებაში.

1871-1875 წლების განმავლობაში ეგნატე დროგამოშვებით სკოლაში დადიოდა, თან ძროხებსა და ცხვრებს მწყემსავდა. დრო ცოტა ჰქონდა, მაგრამ მაინც გულმოდგინედ სწავლობდა. მისი ოცნება იყო, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ცოდნა შეეძინა.

1876 წელს, უკვე თექვსმეტი წლისამ, გადასწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა ოზურგეთის (ახლა ქ. მახარაძე) სასულიერო სასწავლებელში. თებერვალში იგი ჩარიცხეს მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში, მაგრამ, იმის გამო, რომ სწავლაში მაშინვე თავი გამოიჩინა, მესამე განყოფილებაში გადაიყვანეს. ეგნატე ამით არ დაკმაყოფილდა. იგი ენერგიულად დაეწაფა მეცადინეობას, მესამე განყოფილების გაკვეთილების პარალელურად დაიწყო მომზადება მესამე განყოფილებიდან პირდაპირ მეორე კლასში გადასასვლელად. ეგნატემ მართლაც წარმატებით ჩააბარა გამოცდები და მეორე კლასში ჩარიცხეს.



სახლი, სადაც დაიბადა და იზრდებოდა ე. ნინოშვილი. (ამჟამად მწერლის სახლ-მუზეუმი)

ყველას ანციფერებდა მისი ცონდა, მისი სერიოზული და ღრმა აზროვნება. ეგნატე არ ემაყოფილებოდა მით, რასაც სკოლაში ასწავლიდნენ, იგი ფართო თვითგანვითარებას ეწეოდა, უკვირდებოდა ცხოვრებას, ეუფლებოდა თავისი ღრისათვის მოწინავე იდეებს და რევოლუციური მოღვაწეობისათვის ემზადებოდა. მისი მშფოთვარე და თავისუფლებას მოწყურებული სული ვერ ეგუებოდა მაშინდელ სკოლაში გაძევებულ ეანდარტულ პირობებს. განსაკუთრებით სძულდა მას ბიუროკრატი მასწავლებლები, რომელნიც ბევრით არ განსხვავდებოდნენ მეფის ოფიციალური მოხელეებისაგან.

ეგნატემ თავიდანვე შემოიკრიბა თავის გარემო უფროსი კლასების მოსწავლეები და სათავეში ჩაუდგა მათ. ეგნატეს თანაუგრძობდნენ სკოლის მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლებიც.

1878 წელს, როცა მესამე კლასი დასრულა და მეთხუთსეუნი გადავიდა, ეგნატემ მოაწყო მოსწავლეთა ამბოხება სასწავლებელში გაბატონებული ბიუროკრატიზმისა და შოენისტი მასწავლებლების წინააღმდეგ. სკოლის ადმინისტრაციამ შური იძია და ეგნატე სასწავლებლიდან გარიცხა.

1878 წლის შემოდგომა და ზამთარი ეგნატემ ოხუტრაგეთში გაატარა. იგი სასწავლებელში აღარ ირიცხებოდა, მაგრამ გაკვეთილებს მაინც ამზადებდა. დამოუკიდებლად სწავლობდა. ბევრს, ძალიან ბევრს კითხულობდა. „წიგნეუბით ეგნატეს არაფერი არ უყვარდა... დღე ფიქსს მოიშალებდა და მისი ცეცხლის შუქზე შუალამდე კითხულობდა... ყველას ეძინა და ის მაინც კითხულობდა...“—გადმოგვცემს ერთი მისი თანამედროვე.

1879 წლის გაზაფხულზე ეგნატემ მოახერხა ჭეთისის წასულობა და იქ გამოცდები ჩაებარებინა სახალხო სკოლის მასწავლებლობაზე. იმავე წლის ოქტომბერში მასწავლებლობა დაიწყო თავისი სოფლის სკოლაში. მაგრამ სოფლის მასწავლებლობა ვერ აემაყოფილებდა მის სულიერ ვატაცებას; ეგნატე გრძნობდა, რომ იგი მოწოდებული იყო უფრო დიდი საქმისათვის, რაც მერც ცოდნასა და განათლებას მოითხოვდა.

1881 წლის მარტში ეგნატემ თავი დაანება მასწავლებლობას და ბათუმში რკინიგზაზე წაიდა სამუშაოდ, რათა ფული დაეგროვებინა და სწავლა გაეგრძელებინა. ეგნატეს ბედმა არც აქ გაუღიმა.

1884 წელს ეგნატე თბილისში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო ასოთამწყოზად. აქ მას ძალიან მცირე ხელფასი ჰქონდა, ღებულობდა დღეში შეიღ კაპიკის. ეს მას მარტო პუტრისფულადაც არა ჰყოფინდა. იძულებული



ე. ნინოშვილის ძეგლი თბილისის 26 კომუნარის სახელობის ბაღში. ბისტრი შესრულებულია სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაშის მიერ.

გახდა ისევ სოფელს დაბრუნებოდა და რამე საქმისათვის მოეკიდა ხელი.

1886 წელს ეგნატე ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა სოფლის მწერლად. წლის ბოლოს, ნოემბერში, მეგობრებისა და ნათესავების დახმარების მივლით, სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთს გაემგზავრა. მეგობრებმა და ნათესავებმა დააბრუნა ვერ შეუსრულეს და, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი, იძულებული გახდა 1887 წლის მარტში სამშობლოში დაბრუნებულიყო.

საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ეგნატე მოიწყო მწერლად თავად გურჩიელთან. 1889 წელს ბათუმს წაიდა და წლის ბოლომდე როტშილის ქარხანაში მუშაობდა. ბათუმში ეგნატეს მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება. მთელი ზამთარი გაცვეთილ საწავლო ტანისამოსში გაატარა, ცხოვრობდა მუშათა თავშესაფარში: პატარა, ბნელ და ნესტიან ოთახში, შვიდ-რვა კაცთან ერთად.

1890 წელს ეგნატე ზესტაფონში გადმოვიდა და ეწყობა მზეი ქვის მრეწველის ნ. ლოდობერიძის კანტორაში. აქაც არ ასცდა აუტანელი ჯაფა და ცუდი პირობები. „მე

მგონია, — მოავითხოვოს მწერალი, — ჩემი ჯა-
ნი და სიმთელე დავდებუე ბათუმში და ამ
ანტორაში მუშაობთ. ამ დროიდან მოწყე-
პული შემიჩვია ავადმყოფობა და მას თემ-
დევ იშვიათად ვყოფილვარ კარგად, თუმცა
წინეთ იშვიათად ვიცოდი ავადმყოფობა“.

1891 წელს ეგნატემ თავი დაანება ღოღო-
ბერის კანტორას და შევიდა საფილოქსი-
რო დასში. დასთან ერთად მან მოიარა და-
ლესტანი, რაქისა და ლეჩხუმის მაზრები. ამ
მოგზაურობამ ეგნატეს, როგორც მწერალს,
ბევრი რამ მისცა, იგი ღრმად შეკვარდებო-
და ხალხის ცხოვრებას და ამღიარებდა თა-
ვის შთაბეჭდილებებს.

ამის შემდეგ ეგნატეს დიდხანს აღარსად
უშასტურია. 1891 წლის ნოემბრიდან 1892
წლის აგვისტომდე იგი დროგამოშვებით
ცხოვრობდა ბათუმსა და ზესტაფონში. აგ-
ვისტოში ეგნატე სოფელში წავიდა, ხოლო
პირველ ნოემბრიდან თბილისში გადავიდა
მუდმივ საცხოვრებლად. თბილისში ეგნატეს
ავადმყოფობა მოერია და, ექიმების რჩე-
ვით, სოფელში დაბრუნდა. აქ იგი გარდაი-
ცვალა 1894 წლის 12 მაისს, 35 წლის ასაკ-
ში, და დაკრძალულ იქნა იქვე. ეგნატე ნი-
ნოშვილის დაკრძალვა გადაიქცა იმდროინ-
დელი მოწინავე საზოგადოებების უდიდეს სა-
პროტესტო დემონსტრაციად მეფის თვით-
მკვრობელობისა და გაბატონებული კლასო-
ბრივი უკუღმართობის წინააღმდეგ.

როგორც დავინახეთ, ეგნატე ნინოშვილმა
გაპირებულ და ვატანჯულ პირობებში გაა-
ტარა ხანმოკლე ცხოვრება. მიუხედავად
ამისა, იგი მაინც სწერდა და მუშაობდა, მუ-
შაობდა და სწერდა ხალხის სასარგებლოდ,
თავის ენერჯის, ცოდნას და ნიჭს ახმარდა
გწრომელი მასების გათვითცნობიერების,
მათი კეთილდღეობის ინტერესებს.

ერთ თავის პირად წერიალში ეგნატე წერ-
და: „სად შემძლია დინჯად და ძლიერ და-
კვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება, მაშინ
როცა ლუკმატურისათვის მოუსვენრად იქით-
აქეთ გწაწალებ?“ ბოლო წლებში მწერალი
ძალიან უჩიოდა ჯანმრთელობას: „ეხლა კი
აღარ მაქვს წერის ღონე, წერის მავგერად
მძიმე მძიმედ ვახელებ და ვწევარ ლოგინში“.

1894 წელს იაკობ გოგებაშვილს სწერდა:
„...საქმლის მალა სრულიად დაკარგული
მაქვს, სიარული აღარ შემძლია, ცოტა რთ-
გავიარო, მაშინათვე ქშენა ამივარდბა, სუნ-
თქვა მეხუთება და მუხლებშიაც საშინელ
დადლილობას ვგრძნობ. ამ წამთრის სამი
მეოთხედ ლოგინზე ვეგდე ავადმყოფობის
გამო“.

ამ ეს აღამიანი ჰქმნიდა ჩვენს მწერლობა-
ში უყვადე ნაწარმოებებს.

მის კალამს ცუთენის მოთხრობები: „ჯან-
ყი გურიამი“, „გოგია უიშვილი“, „უცნაური
სენი“, „პალიასტომის ტბა“, „არამყისი“,
„სიმონა“, „ქრისტინე“, „პარტახი“, „განკარ-
გულედა“, „სოფლის გმირები“ და სხვ.

ბოლო წლებში ეგნატემ განსაკუთრებით
აქტიურად დაიწყო წერა პუბლიცისტური წე-
რილებისა, რომელსაც იგი დიდ მიშვნელო-
ბას ანიჭებდა იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში,
„ვინც თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშ-
ლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის
წყაღუნების განკურნებაზე“.

ეგნატე ნინოშვილმა თავის მოთხრობებში
გვიჩვენა ქართველი მშრომელი ხალხის სო-
ციალური და პოლიტიკური ცხოვრება ბა-
ტონუმობის წინიდან გასული საუკუნის ოთხ-
მოციან წლებამდე. მან მხატვრული სიმართ-
ლითა და დამაჯერებლობით გადაგვიშალა
ჩვენი ხალხის წარსულის ამაღლევებელი
სურათები და ამით ხელი შეუწყოა კეთიშვე-
ლი მასების გონების განვითარებასა და მათ-
ში კლასობრივი შეგნების გამოუმუშავებას.

თანამედროვე კეთიშველისათვის ეგნატე
ნინოშვილის მხატვრულ ნაწარმოებებს დი-
დი შემეცნებითი და ემოციურა აღზრდის
მნიშვნელობა აქვთ. დღეს ჩვენი ბედნიერი
ახალგაზრდობა ნინოშვილის მოთხრობებით
ეცნობა წარსულის საშინელებას, წინაპართა
ტანჯულ ცხოვრებას, რაც ხელს უწყობს
მათ უფრო მეტი მადლიერების გრძნობით
გაიმსჯელონ ჩვენი სოციალისტური აწყო-
სა და მისი უდიდესი შემოქმედის — ბოლ-
შევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის პარ-
ტიის მიმართ.

პრ. ქაპლივილი



თანდილო



მთარა ჭკელიძე

პ ო ე მ ა

ნახ. კ. მახარაძის

1

ქვიშხეთში ერთი მთა არის, მთაწმინდა ჰქვიათ სახელად, — აღიან პიონერები მაღლიდან ვადმოსახედად. გზადაგზა აუფრინდებთ: შაშვი, კაქკაუი ფართხალით, ძირს მიცურავენ კენჭები ფრინველებივით დამფრთხალი. აი, ავიდნენ სულ მაღლა, წინ გადაშალათ ხეობა და თვალუწვდენელ ველების ლამაზი სანახაობა: ქალები, პურის ყანები, ბაღები, ბოსტან-ბაღჩები, ველზე გაშლილი ხბორები, ხბორებთან მწყემსი ბავშვები. აი, შეჩერდნენ, ფერღობზე გაკრიფეს მოცვის ბუჩქები, მელნისფრად გადავლებათ ალუბლისფერი ტუჩები. ქვევით ჩახედეს. ჩასდევდა ფერღობს თოკივით გზა წვრილი; — იციო ამ ბილიქს რა ჰქვიათ? — ჰკითხავთ უფროსი ყმაწვილი. ეს არის ლეკის ბილიცი ამ ხეობაში განთქმული. მაშ მოისმინეთ თქმულება, მასზედ თქმულება ქართული.

ამ მთაზე იმართებოდა ყოველ წელიწადს დღეობა, ამოდლიდა ბორჯომის ხეობის მოსახლეობა.

ნიშანში სროლა, სირბილი და ქილაობა ვეჯაცთა, სიმღერა, ლხინი, ღრეობა სამი დღე-ღამე გასტანდა. იყო ამგვარი დღეობა ორასიოდე წლის წინათ, მემუსიკებმა ჩაპერეს, ამღერდა ბუკი, წინწილა. დილაადრიან დაიძრნენ ხეობის ყოველ სოფლიდან, — ზოგმა ურემი ირჩია, ზოგიც იორღით მოფრინდა.

ძველი ქულაჯა ჩაიცვა გლეხკაცის ბიჭმა თანდილამ, მეგობრებს დღესასწაულზე ვერ გაჰყვა დილაადრიან. ნიშანში სროლით განთქმული საასპარეზოდ ვერ მიდის, გულს უიარებს ობოლ ბიქს კენესა ავადმყოფ დეიდის. — მე რას მიყურებ, ავად ვარ მესამე წელიწადიო, ნუ მოაკლდები დღეობას, ტოლმეგობრებთან წადიო. — უთხრა კეთილმა დეიდამ, და ტოთხმეტი წლის თანდილა დღესასწაულში წასვლაზე დაიყოლია ადვილად. ობოლი ბიჭი კედლიდან მამის თოფს ფრთხილად ჩამოხსნის, — დაშვენდა, როცა ვადიცვა მამისვე ტანისამოსი. თოთხმეტი წლისა კი არა,

თითქოს უფროსი კაცია,
დაემშვიდობა დეიდას
და მთისკენ დინჯად გასწია.
დაკლაკნილ ბილიკს დაადგა
ობოლი ბიჭი ტანადი,
წყაროზე წყალი დალია,
წინ აეღობა აღმართი.
ბილიკი განზე რომ უხვევს,
იმ უადგილო ადგილას,
ხმაური, ცხენთა ჭიხვინი
მოესმა უცებ თანდილას.
— ბორჯომელები არიან,
ან ლიხელები ეგების! —
თქვა, და სულ ახლოს მოესმა
მას შეძახილი ლეკების.
ცხენებს უტევდნენ ხმადაბლა,
ქჳრდულად გადმოპარულნი;
კარგ მსროლელს, ობოლ თანდილას
ტანზე მოედო აღმური.
ბუჩქისკენ გადაინაცვლა,
ამოიჩნია ადგილი,
ნიშანში კარგად აღება
იქიდან იყო ადგილი.
კარგად იცოდნენ ლეკებმა,
რა დროს დაიწყო დღეობა,
იცოდნენ, მთაზე რომ იყო
ქვიშხეთის მოსახლეობა;
პატარა მწყემსის ბიჭები

ვერ მოიხმარდნენ იარაღს;
ადვილად გაიტაცებდნენ,
მოაშორებდნენ იალას.
თანდილამ შემოსულებს
ვახედა გაბორბტებით;
— წმინდა მხარეში შობილი
წმინდა სიკვდილით მოგვედები! —
თქვა და ლეკების წინამძღოლს
ტყუია შიგ შუბლში ახალა.
ცხენიდან ჩამოვარდნილმა
ყაჩაღმა შეიფართხალა.
თუმცა ობოლი თანდილა
ჯერ არ ყოფილა ნაბრძოლი, —
ახლა მეორე მომხდური
დასცა მეორე გასროლით.
— სიცოცხლის ღირსი არა ხარ,
სიცოცხლეს გამოესალმე!..
თქვა და მესამე გასროლით
გადმოანარცხა მესამე.
ლეკთა ბრბოს სამი მოაკლდა,
ცოცხალი დარჩა ათამდე...
— უთანასწორო ბრძოლაში
ამ მთაზე უნდა ვავთავდე!..
მოცვის ბუჩქებთან შენიშნეს
თანდილა ჩასაფრებული,
და ცხენებიდან გადმოხტნენ
ლეკები ვააფთრებული.
შემოუარეს გარშემო,



მიპარვა სურდათ ზურგიდან.
შესძახეს:—თოფი დააგდე,
გურჯო, სიცოცხლე თუ გინდა!—
როდის უნახავთ ქართველი
დაჩოქებული ადვილია!
მეთოხე სროლით მეთოხე
ლექი განგმირა თანდილამ.
არ აცილებდა სამიზნოს
ბიჭი სროლაში განთქმული;
შიშით წინ ველარ იძვროდა
რაზმი მიწაზე გართხმული.
მტრის დაცდენილი ტყვიები
კლდის სიკრიკიტემ არეკლა,—
ბოლოს დაიჭრა ბიჭუნამ,
ერთი დაჯახნა რვა ლეკმა.
თავზე დაადგნენ თანდილას,
ჩაკედია... ერთმა დასკვივლა.
თავადი ვარო... შეჰყვირა
გადამთიელებს დაჭროლმა.
ასე იცრუა ბიჭუნამ,
ნაბრძოლმა თავგამეტებით,—
კარგად იცოდა, არ ჰკლავდნენ
თავადიშვილებს ლეკები.
ლმობიერება არასდროს
არა სჩვეოდათ სასტიკებს,—
ისინი თავადებისგან
იღებდნენ გამოსასყიდელს.
გათოკეს, პირში ჩასჩარეს
თანდილას ჩვარი მტერიანი,
ამ დროს მაღლიდან მოისმა
ფილთა თოფების გრანოლი.
„აღბათ, ნიშანში ისერიან...“
ეს გაიფიქრა თანდილამ,
ლეკებს მდევარი ეგონათ,—
ჩვენ მოგვდევენო ნამდვილად.
მკვდრები აკრიფეს, დაჭრილიც
ცხენზე შეავდეს საჩქაროდ:
ეს ერთი თავადიშვილი
მდიდარ ნადავლად დაგვიჩაო...
— შეილს მოიკითხავს თავადი,
დიდალი ოჭრო ექნება...—
თქვეს და შინისკენ გაეპურცხლეს
მოტყუებულმა ლეკებმა.

2

— მესამე წელიწადია
არ მოაკითხა არავინ,
მოეტყუედი, გლახის ბიჭია,

თავადიშვილი არ არი.—
ამ სიტყვებს თან მიაყოლა,
ლეკმა გინება უხეში
და გადასწყვიტა: თანდილა
გადაეყვანა თურქეთში.
დატყვევებულის ბატონი
იყო ცნობილი ნაიბი
და მდიდარს კარის კაცებად
ედგა ლეკები დარბი.
თანდილას გარდა ტყვედ ჰყავდა
ნაიბს ქართველი ქალწული;
სულ ქვეთინებდა ლამაზი,
პირსახე ჩაოკაწრული.
გაიხსენებდა სამშობლოს
ნათელა გულისტკივლით
და თეთრ ლაწვებზე ცრემლები
დაეყრებოდა თრთვილივით.
ყოველ წუთს უცივდებოდა
იმედი დანაცრებული,
ლეკებს ქალწული ჰყოლოდათ
ლიხიდან გატაცებული.
თანდილასა და ნათელას
შეუყვარდებათ ურთერთი,
სამშობლოს ნაცვლად ორივეს
ელოდა ბილწი თურქეთი.
ისევე ჯახირი, მონობა,
ისევე წამება, ვაგლახი.
ითელებოდა სიცოცხლე,
როგორც ჩამჰკნარი ბალახი.
წასვლის წინადღეს ტყვეებმა
ქრისტიანულად ილოცეს:
— ერთად სიკვდილი გვეჩრჩიოს
უსამშობლოოდ სიცოცხლეს.—
მამულის მონატრულებმა
ეს გადაწყვიტეს, და როცა
ლეკეთის მთებში უმთავრო
უკუნე ღამე ჩამოწვა...
უწუმრად გადაიპარა
საჯინიბოსკენ თანდილა,
ნაიბის ცხენი შეკაზმა
ცხენოსნობაში ვაზრილიმა.
უწუმრად, კაცის ლანდივით,
ქაბუკი უკან დაბრუნდა,
ყელში სწვდა მძინარ კარისკაცს,
მძლავრი ხელებით გაგუდა.
ხელში რომ თოფი ჩაიგდო,
მაშინ მიეცა იმედი,
გულში თქვა:—ასე მგონია

თითქოს ქვიშებითან ჰმივედი.—
სახლიდან გამოიყვანა
გაფითრებული ნათელა
და გაიტაცა გოგონა
თავგანწირულმა ქართველმა.

გზადაგზა ყეფა ასტეხეს
ბალანაშლილმა ძაღლებმა,
ყეფით ბომბორა ნაგაზებს
კისრები დაეძაგრებათ.
მიჰქრის ტაიქის გელვებით
ორი ტყვე გამოაპარული;
ნაიბის თოფი გავარდა,
ფეხზე წამოდგა აული.

— შემოიბურე ღრუბლები,
სიბნელე შემოგვავლეო.
„ამალამდელო ღამეო“—
ნუ გათენდები მალეო“.—
ასე ჩურჩულებს ნათელა,
—გადავრჩით, მგონი გადავრჩით...

აქლოშინებულ ტაიქით
ტყეში შეიჭრა ქალ-ვაჟი.
გამოქცეულმა ტყვეებმა
დღენახეიარი ირბინეს,
წყალივით სვამდნენ მწყურვალნი
მთების ნიავის სიგრილეს.
აი, გომბორის კალთებთან
მიიჭრნენ შებინდებისას.
აწ უკვე შიში არ ჰქონდათ
გაბოროტებულ მღვერისა.

* * *

„მარცხი ბოლოში იცისო,“
ქართლის სოფლებში იტყვიან,

სულ ახლოს, ცივი წვილით,
გადიწვილა მტრის ტყვიამ.
სროლა ასტეხეს ლეკებმა,
ბილიკზე ბრძოლა გაჩაღდა,
ორ გამოქცეულს ებრძოდა
ძლიერი რაზმი ყაჩაღთა.
ამ დროს თოფების გრიალი
მოესმათ ლეკებს დაბლიდან,
მთისკენ იარაღასხმული
კახელთა გუნდი აფრინდა.
გზადაგზა, სახელდახელოდ
დაიწყო რაზმის შეკრება.—
პირი იბრუნეს, გაჰკურცხლეს
ღამინებულნი ლეკებმა.

აი გაშლილი ქალები,
აი ნანატრი მთაწმინდა;
ნაბრძოლ ქალ-ვაჟის თვალები
სამშობლოს ხილვით გაბრწყინდა.
— აქ მოცვი დამიკრეფია,—
ეტყვის მზეჭაბუკს პირიმზე,
როს გააქენა ტაიქი
თანდილამ ნაცნობ ბილიკზე.
ასე ამთავრებს ძველ ამბავს
ტოლ-მეგობრებთან ნოდარი
და ყურს უგდებდნენ ღიმილით
ბავშვები კლდეს ვადმომღვარნი.

ბინდ-ბუნდში რომ გაეხვია
ძირს გადაშლილი ველები,
ლეკის ბილიკით დაეშენენ
მთამსვლელი პიონერები.



ჩვენებს იმენს, მიღებული გამოცდილება სკოლაში გადაიქვით და ამით ხელს უწყობენ ქიმიის სწავლების გათავალაობობას.

მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელსაწყოებისა და აღნიშნულია ვაჭა 1-ლი სკოლის მოსწავლის სერგო აღაძას მიერ დამზადებული ხელსაწყოების სინთეზისათვის. აღნიშნული ხელსაწყო მოსწავლე აღაძამ ააწყო ხმარებიდან გამოსული ქიმიური ხელსაწყოთაგან — ბიურეტისაგან. მოსწავლე აღაძას მიერ დამზადებული ხელსაწყო საცხებით სკოლის საკმაოდ რთულსა და ძვირფას ხელსაწყოებს ევლიმეტრს. ამ ხელსაწყოებისა და აღნიშნული ადვილად ხერხდება წყალბადისა და ეთანბადის შეერთებით წყლის მიღება და რეაქციაში შესული გაზების მოცულობითი შეფარდების გარკვევა. ამ ხელსაწყოების დამზადებით მზარე კიდევ ის არის, რომ იგი არ საჭიროებს რუმკორფის კოქსის გამოყენებას. მასში წყლის სინთეზისათვის აუცილებელი ელექტრო ნაბერწყალი ქალაქის ქსელის ელდენის მოკლე ჩართული მიიღება.

ნორჩ ქიმიკოსთა ერთმა ჯგუფმა ქალთა 23-ე სკოლის მოსწავლეებმა: გუგული დარჩიანმა, ლილა ჯაფარიძემ და სხვებმა ათვის ლაქმისის ქალბლის შემცველი ინდიკატორის დამზადება ბუნებრივი, იაფვანის მასალებისაგან. ამ ინდიკატორმა კარგი შეფასება მიიღო უმაღლესი სკოლების ქიმიური ლაბორატორიებისაგან და ამჟამად ჩვენს ლაბორატორიაში მომუშავე მოსწავლეებს მიერ დამზადებული ინდიკატორით მარაგდება თბილისისა და რაიონების ზოგიერთი სკოლები.

სამი წუთი ჰაერში

1949 წლის 11 დეკემბერს თბილისში ჩატარდა ნორჩ ავიამოდელისტთა საქალაქო შეჯიბრება საოთახო მოდელებით. პიონერ-

თა სასახლის ნორჩმა ავიამოდელისტმა აყვლა კლასის მოდელებში პირველობა დაიკავეს და ახალი რესპუბლიკური რეკორდები დააყარა.


სასახლის ნორჩი ავიამოდელისტის ა. წიკლაურის (ვაჭა მე-13 სკოლა, VIII კლასი) საოთახო პილოტაჟული ავიამოდელი 1 წუთსა და 7 წამს დაჰყო ჰაერში და რესპუბლიკური რეკორდი დააყარა. ამ შეჯიბრებაზე საქართველოში პირველად იქნა დემონსტრირებული საოთახო მოდელის „მშლიკობატრის“ ფრენა. აღნიშნული მოდელი დამზადდა მოსწავლე კაცია მიხიგურმა (ვაჭა მე-8 სკოლა, X კლასი). კაცია მიხიგურის გელიკობატრმა 24 წამს დაჰყო ჰაერში.

შეჯიბრებაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე მოსწავლე ანზორ ბულიშვილმა (რკინბზის ვაჭა მე-3 სკოლა, VI კლასი) და მოსწავლე ბორის სააკიემმა (ვაჭა 21-ე სკოლა, VII კლასი). მაგრამ საოთახო ავიამოდელების საქალაქო შეჯიბრებაზე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ნორჩმა ავიამოდელისტმა ვაჭა მე-14 სკოლის VI კლასის მოსწავლე გივი ლომსაძემ. სამი წუთის განმავლობაში იფრინა გივი ლომსაძის ფუნელაჟიანმა საოთახო მოდელმა და გასული წლის რესპუბლიკური რეკორდს ორჯერ გადაეჭარბა.

ელექტრო-ტრანსპორტის კომბინირებული მოდელი

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მე-9 წელია წარმატებით ატარებს მოსწავლეთა სასწავლო-სამეცნიერო რესპუბლიკურ კონფერენციებს. ამ კონფერენციებზე მრავალი ნიქიერი ნორჩი ქიმიკოსი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი გამოვლენდა, ჩვენს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების სკოლებიდან.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს შორის საყურადღებოა ქ. ფოთის 1-ლი ვაჭა სკოლის მოსწავლედების იასონ დოლბაიას, ნოდარ ჩხარტიშვილისა და გიორგი ზომიციკის მიერ დამზადებული ელექტრო-ტრანსპორტის კომბინირებული მოდელი. მოდელი საკმაოდ დიდი ზომისაა. წრისებურად შექმულ რკინაგზის ლიანდაგზე მოძრაობენ ელმავლისა და დიხლის ლამაზი ვაგონები. ნორჩ კონსტრუქტორებს ამავე დანადგარზე მოუთავსებიათ მულმივი დენის თვითნაკეთი პატარა დინამო-მანქანა. მოდელს ამშვენებს აგრეთვე ფოთის მუქურას მოდელი. ელექტროტრანსპორტის კომბინირებული მოდელი შესრულებულია ფაქინად და მაღალი გემოვნებით. მოდელის, როგორც ყოველი ცალკეული ნაწილი, ასევე მოლიანი ტექნიკური კომპოზიცია გულ-




ა. აგლაძე ხელსაწყოს მონტაჟზე მუშაობისას.

მოდინებით, საქმის ცოდნითა და სიყვარულთ არის შესრულებული.

უწყვეტი რკინიგზა

ბონერტა და მოსწავლეთა სასახლის ყველა განყოფილება უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება დიდი ბელადის დაბადების 70 წლისთავს. ახალი შემოქმედებითი აღმავლობით შეხედნენ ამ დიად დღეს ნორჩი ტექნიკოსებიც. 21 დეკემბერს სასახლეში გაიხსნა ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრობა, ფერწერა, ქანდაკება და ტექნიკა. სასახლის ტრანსპორტის კაბინეტში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა გამოფენაზე ორი ექსპონატი გაიტანეს. ეს იყო სამთომანო მრეწველობაში გავრცელებული ტრანსპორტის სახე — საბაგირო გზის მოდელი და აგრეთვე „უწყვეტი რკინიგზა“. საბაგირო გზის მოდელი შეასრულა მოსწავლეთა ჯგუფმა დევი დგებუაძის, არჩილ ჩხალაძის, ანზორ ბახტაძისა და სხვების შემადგენლობით, ხოლო „უწყვეტი რკინიგზა“ გააკეთეს მოსწავლეებმა ოთარ ჯიქიამ, ვალიკო ელქანიშვილმა, თენგიზ კობახიძემ და სხვებმა. „უწყვეტი რკინიგზა“ ელექტროფიცირებულია. მისი ლიანდაგი ციფრ 8-ის ფორმისაა და მასზე განუწყვეტლივ დაჰქრის პატრა ვაგონი.



ნორჩი ავიამოდელისტები.

ტივის სქემით, გარეშე ელექტრული დენის გამოუყენებლად. მის აქვს ორი სახელური, გადაძვები სადგურის ტალახზე ასაწყობად. რადიომიმღები „ნამცეცა“ ყურადღების იპყრობს თავისი მეტად მცირე მოცულობით. ის ასანთის კოლოფზე პატარაა, სმენადობა კი საუკეთესო აქვს. გამოფენის დასაწყისში მისი მეტად მცირე პატარა სტუმრები აღტაცებით უსმენდნენ „ნამცეცს“. გამოფენაზე ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე მოსწავლე ა. არაზაშვილის მიერ დამზადებული ფოტოელექტრო - აღმრიცხველი. ფოტოელექტრო-აღმრიცხველი საგამოფენო დარბაზის შესასვლელ კარებთან იდგა და განუწყვეტლივ სთვლიდა გამოფენის დასაწყისში მოსულ სტუმრებს.

ბავშვები, თქვენ უთუოდ გაქვთ სურვილი საკუთარი ხელით აშაღებდით ასეთ საინტერესო მოდელს და აპარატებს. პონერტა სასახლის ტექნიკის განყოფილების კაბინეტები და სახელოსნოები თქვენთვის არსებობს. ჩაებთ მათს მუშაობაში. გახდით სასახლის ნორჩი ტექნიკოსები. აქ მოღებულ ცოდნას თქვენ გამოაყენებთ ცხოვრებაში და გახდებით სამშობლოსათვის სასარგებლო ადამიანები.


რადიომიმღები „ნამცეცა“

გამოფენაზე განსაკუთრებით კარგად იყო წარმოდგენილი ნორჩ რადიომოყვარულთა ნამუშევრები, გამოფენას აშშმებდა მოსწავლე ვახტანგ ქაჯაიას მიერ დამზადებული მაღალი სიხშირის გენერატორი, მერაბ ჯავახიშვილის ავტოტრანსფორმატორი ვოლტმეტრი, ვიტალი სიკაღვაცოს — სუბერგეტროდინული რადიომიმღები და სხვა. მაგრამ განსაკუთრებით გამოფენის მნახველთა ინტერესი დამსახურა დეტექტორულმა მიმღებმა, რომელსაც ნორჩმა კონსტრუქტორმა „ნამცეცა“ უწოდა. მიმღები დამზადა სასახლის ნორჩი რადიომოყვარულმა ვაჟთა მე-9 სკოლის VII კლასის მოსწავლე ტ. თარგამაძემ. რადიომიმღები „ნამცეცა“ აგებულია უმარ-

ელენე აგლაძე

დ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პონერ-მოსწავლეთა სასახლის დირექტორი.





ბრიგოლ ქაზენიძე

ინგილოური ამბავი

ნახ. ს. შახაშვილისა

მზე რომ უღუბამის* წვერზე შემოგორდა, მაშინ გაუშვეს მონადირე ინგილოებმა ლორებზე დაგეშილი ძაღლები უღრან ტყეში.

თვალისმოპყრელად ბრწყინავდნენ მზის სხივებზე ყინვის ფიფქები. ერთ მხარეს იყო ხშირი ტყე — გაუგვარი ეკლნარებით, მეორე მხარეზე ხარბად აზრდილი ლაქაშები. შუაზე მორაკრავებდა პატარა ნაკადული. ზოგჯერ ასეთი ანკარა. ცივი წყალი ზაფხულის ცხელ ღამეში სიზმრად თუ უნახავს მოწყურებულ ადამიანს.

ამ ადგილას იყო ჩასაფრებული ახალგაზრდა მონადირე ინგილო, რომელსაც მეტსახელად კაპის ეძახდნენ. კაპი ომგადანდილი ვეჯაკცია. ახლა უკვე სანადირო თოფმომარჯვებული იმდა მოხდენილი ჭაბუკი ამ მშობლიურ ტყეში და ძაღლებს შეძახილებს ელოდებოდა.

ეს ადგილი მრავალჯერ ნაცადია. წინათაც დაუხოცია კაცულ ვეჯაკცს აქ გარეული ტანები და შინ ნახაიმოვნები დაბრუნებულა.

დგას ახლა კაპი და იგონებს ახლო წარსულის ერთ ამბავს:

ერთხელ თბილისელი სტუმარი მონადირე ეწვია კაპის, სტუმართმოყვარე ინგილოს ოჯახი გამხიარულდა. იმ ღამით ქართველურად მოიხიზნეს, როცა ვარდისფერი „რქაწითელით“ არაწები** აავსეს, პირველი სადღევრძელოთი ზვლინდელ ხადირობას უსურვეს წარმატება. მეორე დღეს, დილის ბინდბუნდში ამ ადგილისაკენ ცხრა მონადირე გამოემართა, ცამეტი ძაღლი წამოიყვანეს და ორი კამჩის ურები. სწორედ ამ ადგილას დააყენა მაშინ კაპიმ სტუმრად მოსული მონადირე, სადაც ახლა თვითონ დგას ჩაფიქრებულად; დააყენა და თან გააფრთხილა:

— ზმაო ირაკლი, აი, ამ ბილიკთან დავდე უჩუმრად, თვალი ტყისაკენ გეპიროს, აქ ტახ მასვლელი,*** ყოჩაღად იყავ, ტყვია არ ააციდნოს..

მაშინ ხუთი წლის ტახი მოკლეს ინგილოებმა ამ ტყეში და მთლიანად ირაკლის უთავაზეს.

— წაილე, ზმაო ირაკლი, ჩვენი ზმები — გალმამხარელი ქართველები მოალხნეო, — სთხოვეს სტუმრად ჩასულს.

ირაკლიმ გულითადი მადლობა გადაუხადა ინგილოებს, შემდეგ მათ იმ დღის საკუთარი „გაქირვებაც“ გააცნო და მოხდენილი ხუმრობით ჭადაროსანი მონადირეები გაამხარულა:

— მე გამიგონია თქვენგან, — ასე დაიწყო ირაკლიმ საუბარი, — რომ გარეული ტახი ზოგჯერ გამოვიგნავსო ადამიანს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძლიერ შევშინდი, მარტომ მითოვებული ამ უღრან ტყეში. ვინდები ამ უკაცრიელ ადგილას ხესავით გაშეშებულად და ვფიქრობდი: ვაი, თუ გამოეკანა უტუბედლად ჩემსკენ ერთი უხარმაზარი ეშვებდაღესილი ტახი, დამეჯახა ამ პატიოსან კაცს და მუცელი გამომლარა-მეთქი... თქვენ რომ გამომრდით, ცოტა ხნის შემდეგ ნელი სტვენა დავიწყე; მაგრამ მეცოტავა, მერე ღიღინი ვამჯობინე, ბოლოს იყეც აღარ ვიქმარე; ავიღე ამ წყლის პირას ქვები და ტყისაკენ დავიწყე სროლა, ეგებ ღირი დაფრთხეს და აღარ გამოირბინოს ჩემსკენ-მეთქი. არა, ძმაო, ამოღენა ტახს რომ ჩემთა გამოევილო, უშითი გული გამისკდებოდა.

თითქოს ძაღლებმა შეუყვებესო რაღაცას, ყრულ ჩაენმა მონადირეს. ნაკადულის

* უღუბამში — მალაღობა მთაა კახის რაიონში.

** არაწები — თხის ჭურჭელი.

*** ტახი გამოვილის.

ჩხრიალში ძაღლის ყეფას ვეღარ არჩევდა ინგილო. ტყის ნაპირისაკენ მიიწია, ხარბად აზრდილ ბარდებში გააყვია ბილიკს, შეჩერდა და კვლავ მიაყურა. ტყის შუაგულიდან ის-პოლა მაძებრების გახელებული ყეფა და მონადირეთა შეძახილები.

კაპი სულგანაბული იცქირებოდა ტყის სიღრმეში.

რადაცამ მაღალი ხის კენწეროვებთან გაიშრიალა და საიდუმლოებით მოცულ, ჩუმ მიდამოში ნიავე მოიტანა. მონადირე უცებ შეკრთა, იქვე ახლოს მამალი ზოხობი ჩამოფრთხიალდა, ეკალ-ბარდებში მოხეტიალე ძაღლებისაგან წამონადირენი.

